# ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

**2022-2026 წლები**

# თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

## ისტორია

ყვარლის მუნიციპალიტეტი _ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. 1917 წლამდე ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში შედიოდა, 1921 წლის ადმინისტრაციული დაყოფით ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ისევ თელავის მაზრას მიაკუთვნეს. 1930 წლიდან კი ყალიბდება ცალკე რაიონად.

მდებარეობა

რაც შეეხება თვით ქალაქ ყვარელს, რომელიც მდინარეების ბურსასა და დურუჯის შუაწელში მდებარეობს, ქალაქის სტატუსი მიიღო 1964 წლიდან. ყვარლის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ლაგოდეხის, სამხრეთით _ გურჯაანისა და თელავის, დასავლეთით _ ახმეტის მუნიციპალიტეტები, ხოლო ჩრდილოეთით _ დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა (რუსეთის ფედერაცია).

## ფართობი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებს და ალაზნის ვაკის ნაწილს. ყვარლის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69 700 კვ. კმ) 1,43 %-ს, ხოლო კახეთის რეგიონის 8,2%-ს შედაგენს. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1000,8 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 35945 კვ.კმ,

## გეოგრაფია

მდებარეობს ალაზნის ველზე, მდინარეების ბურსისა და დურუჯის (ალაზნის მარცხენა შენაკადები) შუამდინარეთში, ზღვის დონიდან 450 მეტრზე, თბილისიდან 134 კმ., მუკუზნის რკინიგზის სადგურიდან 26 კმ-ზე. ყვარელში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 12,5 °C, იანვრის — 1 °C, ივლისის — 23,6 °C; აბსოლუტური მინიმუმი -23 °C, აბსოლუტური მაქსიმუმი 38 °C.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 27 წევრისგან. მათგან 18 არჩეულია პროპორციული, ხოლო 9 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ

არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: იურიდიულ საკითხთა ; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა კომისია და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

ყვარლის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 11 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი ყვარელი, გრემი, ენისელი, საბუე, შილდა, გავაზი, ჭიკაანი, ახალსოფელი, კუჭატანი, ბალღოჯიანი, მთისძირი.

## მოსახლეობა

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2017 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 29,8 ათას კაცია. მუნიციპალიტეტში 22 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 21 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედივთ საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ყვარლის მუნიციპალიტეტი 35-ე ადგილზეა. იგი მოსახლეობით უტოლდება ისეთ მუნიციპალიტეტებს როგორიცაა: მარტვილი, ახმეტა, ხობი, ყვარელი და სიღნაღი.




მუნიციპალიტეტში დასახლებული 29,8 ათასი მოსახლიდან 15,1 ათასი ქალბატონია, ხოლო 14,7 მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებებში რეგისტრირებულია სულ 7,7

ათასი პირი, მათ შორის 3,7 ათასი მამაკაცი და 4,0 ქალბატონი. სასოფლო დასახლებებში რეგისტრირებულია 22,1 ათასი მცხოვრები მათ შორის 11,0 მამაკაცი და 11,1 ქალბატონი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 1.6 ათასი 6 წლამდე ბავშვი, 6- 18 წლამდე ასაკის 3,3 ათსი ბავშვი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,78%-ს, ხოლო, კახეთისს რეგიონის 9,36%-ს შეადგენს.

| yvarlis მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2022 წლის მონაცემების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| დასახელება | მოსახლეობა | ფართობი (კვ.კმ) | გადასახდელები (ათას ლარებში) |
| სულ საქართველო | 3,728,573.00 | 69,700.00 | 19,678,671.00 |
| კახეთის რეგიონი | 304,919.00 | 11,310.00 | 188,350.37 |
| ყვარელის მუნიციპალიტეტი | 41,100.00 | 890.20 | 27,501.2 |
| პროცენტი საქართველოსთან | 1.1 | 1.27 | 0.13 |
| პროცენტი რეგიონთან | 13.47 | 7.86 | 14.6 |

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 7.5 ათასი პენსიონერი, 3.0 ათასი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირია.

## ეკონომიკა

ყვარლის მუნიციპალიტეტში კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, ძირითადად მევენახეობა. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი იძლევა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლის 80 %. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 35 945 ჰა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე განვითარებულია მეცხოველეობა, მეფრინველეობა და სხვ. ინტენსიურად ვითარდება მეღვინეობა, აქ თავმოყრილია მრავალი ღვინის ქარხანა. აქვეა საქვეყნოდ ცნობილი ყურძნის მიკროზონა „ქინძმარაული“.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ტურისტულ-დასასვენებლი კომპლექსები „ყვარლის ტბა“ და „ილიას ტბა“.

## სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გადის რკინიგზის ხაზი და ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრებთან დაკავშირება ხდება საავტომობილო გზებით. ყვარლის მუნიციპალიტეტი დედაქალაქიდან დაშორება არის 151 კმ., უახლოეს რკინიგზის სადგურ მუკუზნიდან კი - 26 კმ.

## საჯარო დაწესებულებები

ყვარლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 21 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 3435 მოსწავლე;
- 22 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 1309 ბავშვი;
- 3 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 200 აღსაზრდელი;
- 5 ბიბლიოთეკა;
- კ. მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი;
- 1 სპორტული ცენტრი - სპორტის 9 სახეობას ეუფლება 750 ბავშვი;
- დაწყებითი სამუსიკო განათლების 5 სკოლა - 261 აღსაზრდელი;

## ღირშესანიშნაობები

**ყვარლის ციხე** – ქ. ყვარლის ცენტრში მდებარეობს. ყვარლის ციხე XVI-XVIII საუკუნეების კახეთში აგებულ სიმაგრეებიდან ერთ-ერთი დიდთაგანია. გეგმით იგი თითქმის კვადრატულია, ვაკეზე დგას და ყოველ მხარეს ერთნაირი მისადგომი აქვს.

**ყვარლის** მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული ძეგლებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოფელი გრემი. ვარაუდობენ რომ გრემის ტერიტორიაზე მოსახლეობა გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში უნდა გაჩენილიყო. გრემი ფეოდალური ხანის კახეთის ერთ-ერთი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. 1466 წელს გრემი კახეთის სამეფოს დედაქალაქი გახდა. გრემის ტერიტორიაზე შემორჩენილია ისეთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი როგორიცაა გრემის მთავარანგელოზის ეკლესია. იგი აგებულია 1565 წელს კახთა მეფე ლევანის მიერ.

სხვა ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია:

- სოფელ შილდაში მდებარე ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცნობილი იყო როგორც ბარცხანას „ყველაწმინდა“;
- ძველი გავაზის ღვთისშობლის ეკლესია (VI ს.).
- სოფელ ენისელშია აღდგომის ტაძარი (1574-1605), მიდამოებში კი მდებარეობს ნასოფლარი შიხიანი;
- ისტორიული ქალაქი ნეკრესი (დააარსა მეფე ფარნაჯომმა ძვ.წ. II-Iსს);
- გუმბათოვანი ეკლესია „კვარაცხოველი“ სოფ. ჭიკაანში (XV-XVII სს.);
- ძვ. წ. III ათასწლეულის დროინდელი მზის ტაძრის ნანგრევები და ამავე პერიოდის ნაქალაქარი სახელწოდებით „ნელქარისი“.

# თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებში

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას გათვალისწინებული იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები , რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრერირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

| **ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
| | | | | | | |
| შემოსავლები | **19,559.70** | **23,263,6** | **16,193.50** | **16,193.50** | **16,193.50** | **16,193.50** |
| გადასახადები | 10,741.70 | 13,280,0 | 15,229.60 | 15,229.60 | 15,229.60 | 15,229.60 |
| გრანტები | 8,146.60 | 9,495,8 | 385.00 | 385.00 | 385.00 | 385.00 |
| მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები | 7,953.80 | 9 105,8 | - | - | - | - |
| სხვა შემოსავლები | 671.40 | 497.80 | 578.90 | 578.90 | 578.90 | 578.90 |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | **13,466.10** | **15,133,7** | **15,753.10** | **15,753.10** | **15,753.10** | **15,753.10** |
| შრომის ანაზღაურება | 1,640.10 | 2,695,6 | 3,026.30 | 3,026.30 | 3,026.30 | 3,026.30 |
| საქონელი და მომსახურება | 1,540.80 | 2,309,1 | 2,072.90 | 2,072.90 | 2,072.90 | 2,072.90 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | | | |
| პროცენტი | 39.50 | 37,8 | 61.50 | 61.50 | 61.50 | 61.50 |
| სუბსიდიები | 5,759.50 | 8,099,0 | 9,228.40 | 9,228.40 | 9,228.40 | 9,228.40 |
| გრანტები | 34.10 | 76.20 | 97.00 | 97.00 | 97.00 | 97.00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 780.00 | 838,8 | 930.00 | 930.00 | 930.00 | 930.00 |
| სხვა ხარჯები | 3,672.10 | 1,077,3 | 337.00 | 337.00 | 337.00 | 337.00 |
| | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | **6,093.60** | **8,129,9** | **440.40** | **440.40** | **440.40** | **440.40** |
| | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | **4,954.20** | **11,916,3** | **360.4** | **360.4** | **360.4** | **360.4** |
| ზრდა | 6,108.20 | 12,407,1 | 1,475.4 | 1,475.4 | 1,475.4 | 1,475.4 |
| კლება | 1,154.00 | 490.8 | 1,115.0 | 1,115.0 | 1,115.0 | 1,115.0 |
| | | | | | | |
| მთლიანი სალდო | **1,139.40** | **-3,786.4** | **80.0** | **80.0** | **80.0** | **80.0** |
| | | | | | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | **1,063.10** | **-3,862,8** | - | - | - | - |
| ზრდა | 1,324.60 | | | | | |
| კლება | 261.50 | 3,862,8 | | | | |
| | | | | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | **-76.30** | **-76.4** | **80.00** | **80.00** | **80.00** | **80.00** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზრდა | - | - | - | - | - | - |
| საგარეო | | | | | | |
| საშინაო | | | | | | |
| კლება | 76.30 | 76.4 | 80.00 | 80.00 | 80.00 | 80.00 |
| საგარეო | | | | | | |
| საშინაო | 76.30 | 76.4 | 80.00 | 80.00 | 80.00 | 80.00 |
| | | | | | | |
| ბალანსი | 0.00 | 0.00 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | | | | | |
| მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი | | | | | | |
| შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები) | | | | | | |

### 2.2 გასული 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე,

ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის და მიღწეული შედეგების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესახებ.

Yyvarlis municipalitetis biujetis 2021 wlis Sesrulebis maCveneblebi

| დასახელება | 2021 წლის დაზუსტებული გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|
| | სულ | სულ |
| შემოსავლები | 18870,3 | 19559,719 |
| გადასახადები | 9765,200 | 10741,752 |
| გრანტები | 8662,0 | 8146,603 |
| სხვა შემოსავლები | 443,100 | 671,363 |
| | | |
| ხარჯები | 13746,321 | 13466,050 |
| შრომის ანაზღაურება | 1709,200 | 1640,062 |
| საქონელი და მომსახურება | 1585,836 | 1540,808 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0 | 0 |
| პროცენტი | 39,458 | 39,458 |
| სუბსიდიები | 5814,575 | 5759,502 |
| გრანტები | 34,058 | 34,058 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 782,000 | 780,0290 |
| სხვა ხარჯები | 3781,2 | 3672,131 |
| | | |
| საოპერაციო სალდო | 5123,978 | 6093,668 |
| | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 6902,465 | 4954,215 |
| ზრდა | 7429,965 | 6108,199 |
| კლება | 527,500 | 1153,983 |
| | | |
| მთლიანი სალდო | -1778,486 | 1139,453 |
| | | |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1778,486 | 1139,453 |
| ზრდა | | 1324,589 |
| ვალუტა და დეპოზიტები | | 1324,589 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | | |
| სესხები | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | | |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | |

| | | |
|---|---|---|
| კლება | 1778,486 | 185,135 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1854,788 | 185,135 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | | |
| სესხები | -76,302 | -76,302 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | | |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | | |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | | |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | | |
| ვალდებულებების ცვლილება | | |
| ზრდა | | |
| საგარეო | | |
| საშინაო | | |
| კლება | | |
| საგარეო | | |
| საშინაო | | |
| | | |
| ბალანსი | 0 | 0 |

2021 წლის დასაწყისისათვის ყვარლის მუნიციპალიტეტს ანგარიშებზე ქონდა 2924,7 ათასი ლარი, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით 3987,9 ათასი ლარი

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შესრულებულია 103,7 % (გეგმა 18870,3 ათ. ლარი. ფაქტ 19559,7 .ათ. ლარი) აქედან ქონების გადასახადის გეგმა შესრულებულია 120 %-თ (გეგმა 3800 ათ. ლარი, შესრულება 4561,5 ათ. ლარი), დამატებითი ღირებულების გადასახადი მიღებული გვაქვს 103,6 % ( გეგმა 5965,2 ათ. ლარი, ფაქტი 6180,3 ათ. ლარი)

გრანტებიდან მიღებული გვაქვს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 160,0 ათასი ლარი, ტრანსფერები მიღებული გვაქვს ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის 1/12 ნაწილი. საქართველოს მთავრობის N147 დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის რომელიც ჩარიცხული 32,8 ათასი ლარი, მიღებული გვაქვს აგრეთვე კაპიტალური ტრანსფერი რეგფონდის სამუშაებისათვის 4139,0 ათ.ლარი, სოფლის პროგრამის დაფინანსებისათვის 326,0 ათსი ლარი, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის 3488,8 ათ.ლარი ,სულ 7953,8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია 151% (გეგმა 443,1 ათასი ლარი, ფაქტი 671,4 ათასი ლარი), კერძოდ: ბანკის მიერ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული

გვაქვს 153,5 ათასი ლარი (112,2%), ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი შემოვიდა 184,1 ათასი ლარი, 2021 წელს მიწის იჯარიდან შემოვიდა 17,0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 33,1 ათასი ლარი, შემოსავლები ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული გვაქვს 125,9 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 29,4 ათასი ლარი, ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხები მიღებული გვაქვს 94,1 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული გვაქვს 1154,0 ათასი ლარი. 2021 წელს მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულება შემცირდა 76,3 ათასი ლარით.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები დაფინანსებულია 91,9 % (გეგმა 21252,6 ათ. ლარი, ფაქტი 19650,6 ათ. ლარი) აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია - 1640,1 ათასი ლარი (95,6%)
- საქონელი და მომსახურება - 1540,8 ათასი ლარი; (91,5%)
- სუბსიდია - 5759,5 ათასი ლარი; (99,0%)
- სოციალური უზრუნველყოფა - 780,0 ათასი ლარი;(99,8%)
- სხვა ხარჯები - 3672,1 ათასი ლარი; (97,1%)
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 6108,2 ათასი ლარი.(82,0%)
- ვალდებულებების კლება - 76,3 ათასი ლარი.
- პროცენტი - 39,5 ათასი ლარი

მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 94,4 % ით (გეგმა 2477,2 ათასი ლარი, ფაქტი 2386,5 ათასი ლარი).

ინფრასტრუქტურის განვითრების თავი დაფინანსებულია 89,2% ით (გეგმა 11459,8 ათ. ლარი და ფაქტი 10288,3 ათ. ლარი)

აქედან: სუბსიდიები სულ- 502,1 ათ.ლარი, (ა(ა)იპ ყვარელსერვისი), სხვა ხარჯების მუხლი 3540,7 ათასი ლარი, საიდანაც გაიხარჯა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, მოსახლეობის დაზიანებული სახლების სახურავების შესაკეთებლად. ხოლო არაფინასური აქტივების ზრდის მუხლში (ინფრასტრუქტურული პროექტები )-5469,9 ათასი. ლარი

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა ჯამში 3509,1 ათ. ლარი, აქედან

- დასრულდა სოფ ჭიკაანში შიდა გზების (იმერლების უბნის) მოასფალტების სამუშაოები, ღირებულებამ შეადგინა 1514,2 ათასი ლარი; (სამუშაო განხორციელდა რ/ფონდის თანადაფინანსებით 1439,1ათ. ლარი, ადგილობრივი თანხა 75,1ათ. ლარი)

- დასრულდა სოფ. ახალსოფელში II უბნის მოასფალტების სამუშაოები ჯამში 775,8 ათასი ლარი. (სამუშაო განხორციელდა რ/ფონდის თანადაფინანსებით 737,0, ადგილობრივი 38,8 ათ. ლარი)

- დაიწყო სოფ. ახალსოფელში I,II და III უბნის მოასფალტების სამუშაოები სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 828,8 ათ.ლარს, 2021 წელს გადაირიცხა 379,8 ათ. ლარი სამუშაოები გაგრძელდება 2022 წელს.

-დასრულდა ქ. ყვარელში სასაფლაოს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 233,5 ათასი ლარი.

- დაიწყო სოფ. წიწკანაანთსერში სკოლასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 491,4 ათ.ლარს, 2021 წელს გადაირიცხა 294,6 ათ. ლარი სამუშაოები გაგრძელდება 2022 წელს.

- დაიწყო სოფ. კუჭატნის შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 404,3 ათ.ლარს, 2021 წელს გადაირიცხა 310,9 ათ. ლარი, სამუშაოები გაგრძელდება 2022 წელს.

2020 წელში დაიწყო და 2021 დასრულდა სოფ. საბუეში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები 2021 წელს გადახდილია 409,0 ათ. ლარი, სულ 506,2 ათასი ლარის სამუშაოებია შესრულებული

2021 წელს ყვარლის სარწყავ-სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის გაიხარჯა 196,8 ათასი ლარი, აქედან

- დაიწყო ქ. ყვარელში არიხაულის არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2021 წლის გაიხარჯა 77,4 ათ. ლარი, სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 194,0 ათას ლარს, სამუშაო დასრულდება 2022 წელს, სამუშოები მიმდინარეობს რ/ფონდის თანადაფინანსებთ.
- 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით მოწესრიდგა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ყვარლის სანიაღვრე არხებს პეტრე იბერის ქუჩაზე და პირველ ჩიხში, აღდგომის ქუჩაზე და პირველ ჩიხში, ჩოლოყაშვილის IV ჩიხში, ზ. ჭავჭავაძის II ჩიხში, ლეონიძის ქუჩის სანიაღვრე არხებს, ვაჟა ფშაველას ჩიხში და არიხაულის

არხზე გაკეთდა ლითონის ცხაურები, ყველაფერზე ერთად გახარჯულია119,4 ათასი ლარი.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციისათვის გაიხარჯა 538,6 ათასი ლარი.(აქედან 483,2 ათასი ლარი ელ. ენერგიის ღირებულებაა, 52,4 ათასი ლარით შეძენილია გარე განათების ქსელის რემონტისათვის სხვადასხვა მასალები,ხოლო 3,0 ათ. ლარი გადახდილია ახალი აბონენტის ქსელზე დაერთების ღირებულება.)

2021 წელს დასრულდა ქ. ყვარელში გარე განათების სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები 2021 წლის გადახდილმა თანხამ შეადგინა 441,7 ათ. ლარი (419,5/22,2).სულ 2020-21 წლებში გადახდილია 1054,0 ათასი ლარი.

ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციის ორგანიზაციული კოდით ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებიდან გახარჯული გვაქვს 213,3 ათასი ლარი, საიდანაც 71,9 ათასი ლარით შეძენილია საწვავი, 47,8 ათასი ლარი გადახდილია ტექნიკის რემონტისათვის, 93,7 ათასი ლარი ტექნიკის დაქირავების ხარჯია.

2021 წელს მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის N330 განკარგულების საფუძველზე გამოეყო 3500,0 ათასი ლარი სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის, სულ გადაიხურა 274 სახლი, საერთო თანხით 3457,9 ათ. ლარი, 63,8 ათასი ლარით შევიძინეთ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო 7,0 ათასი ლარით შევიძინეთ დაზიანებული სახლებისათვის საჭირო სამეურნეო მასალები პირველადი დახმარებისათვის.

2021 წელს დასრულდა 2020 წელში დაწყებული სოფ. ახალსოფელში სკვერის მოწყობის სამუშაოები რაზედაც გაიხარჯა 131,3 ათასი ლარი, ასევე დასრულდა ქ. ყვარელში 60 ბინიანების მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები თანხით 49,9 ათ. ლარი.

2021 წელს მოხდა ქ. ყვარლის თეატრის საცეკვაო დარბაზისა და სასპორტო სკოლის კრივის დარბაზის რეაბილიტაცია, ყვარლის თეატრის მიმდებარედ და

ყოფილი“ალმასკომის“ შენობაში მოხდა სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია ჯამში 49,4 ათ. ლარით.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამომოყოფილი გვქონდა 326,0 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებამ შეადგინა 75,0 ათასი ლარი , ყველა სამუშო დასრულებულია, საერთო ჯამში გახარჯულა 393,7 ათასი ლარი

- შეძენილია 54,8 ათ. ლარის სხვადასხვა სამუშოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

- შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ და შ.პ.ს „ ექსპერტ ჰაუსს“ გადავუხადეთ 94,0 ათ ლარი 2020 წლის ბოლოს და 2021 წელს შესრულებული სამუშაოების მონიტორინგის ღირებულება ;

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა განახორციელა გამხმარი და ქარქცევად საშიში ხეების ჭრა, შეიძინა ტექნიკური მარილი გზებზე დასაყრელად, მიუსაფარი ცხოველების საგენტოსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე დამოუკიდებლად შეიძინა ვეტერინალური მომსახურება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების მომსახურებისათვის, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიში მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 14,0 ათ. ლარი, ხოლო ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველ მართვის კახეთის ინტერმუნიციპ. სააგენტოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ სარგებლოდა მათი მომსახურებით, რაშიც გადახდილია 34,1 ათ. ლარი, წარმოდგენილი ანგარიშის თანხმად მომსახურება გაეწია 295 ძაღლს.

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტმა შეიძინა 220 ცალი სხვადასხვა მოცულობის ნაგვის ურნა სართო ღირებულებით 109,6 ათ. ლარი, ურნები განლაგებულია მთელი რაიონის მასშტაბით.

2021 წლის განმავლობაში დასრულდა საქ. მთავრობის 2020 წლის N27 განკარგულების ფარგლებში დაწყებული ყვარლის N1 და N2 საჯარო სკოლების, შილდის საჯარო სკოლის და ბალღოჯიაანის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები, საერთო თანხით 120,7 ათ. ლარი, საქ. მთავრობის, 2019 წლის N13 განკარგულებით დელეგირებული თანხებიდან დარჩენილი ეკონომიებით მოეწყო ბალღოჯიაანის საჯარო სკოლის სახურავი თანხით 87,4 ათ. ლარი. საქ. მთვრობის 2020 წლის N27 და 2021 წლის

147 განკარგულებით დელეგირებული თანხებით მოხდა მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება 39,0 ათ. ლარით.

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების გეგმა 2387,0 ათასი ლარი, ფაქტი 2366,4 ათასი ლარი (99%),

-წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია - გეგმა 50,0 ათასი ლარი, ფაქტი 50,0 ათასი ლარი,

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის თავი დაფინანსდა 88,7 % ით (გეგმა 2162,0 ათასი ლარი, ფაქტი 1924,9 ათასი ლარი) აქედან:

სპორტული და კულტურის ორგანიზაციების სუბსიდირება მოხდა 99,7% ით (გეგმა 1672,2 ათასი ლარი, ფაქტი 1667,7 ათასი ლარი)

სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 30,0 ათასი ლარი, ფაქტი 27,2 ათასი ლარი, საიდანაც 4,0 ათ. ლარი გადაერიცხა ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაციას, 21,1 ათასი ლარი გადახდილია მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების ჯილდო, 0,8 ათ. ლარი გახარჯულია ყვარლის მოსწავლე ახალგაზრდობის საფეხბურთო გუნდის ჩემიონატში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის(კვება, ტრანსპორტირება), ხოლო 1400 გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება ყვარლის ვეტერანი მოჭიდავე მალხაზი როზომაშვილისათვის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საბერძნეთის ქალაქ ლუთრაკში.

2021 წელს კვლავ გამოიყო თანხები ახალგაზრდობის მხარდასაჭერად, 2021 წელს სულ გახარჯულია 141,5 ათ. ლარი, ჩატარდა ახალგაზრდობის სწავლება- კონსულტირება პროგრამებისა და პროექტების დასაწერად; წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე მოხდა ახალგაზრდების იდეების შერჩევა და დაფინანსება სხვადასხვა სახის საქმიანობის დასაწყებად.ქონება გადაცემულია პროექტანტ ახალგაზრდებზე განსაკუთრებული პირობებით.მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი.

კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის გეგმა იყო 72,2 ათასი ლარი, ხარჯვა შესაბამისად 70,0 ათასი ლარი. გადახდილია საახალწლო მოწყობილობების ღირებულება.

გაზეთი „ყვარელი“ დაფინანსდა 47,0 ათასი ლარით,

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაში გახარჯულია 25,0 ათასი ლარი.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები** დაფინანსებულია 99.7 % ით, (გეგმა 1087.6 ათასი ლარი, ფაქტი 1085.7 ათასი ლარი). აქედან:

- ა(ა)იპ ყვარლის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრი ჯანდაცვა დაფინანსდა 82,0 ათ. ლარით.
- 36,0 ათასი ლარით დაფინანსებულია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელთან გაფორმებული თანადაფინანსების ხელშეკრულების შესბამისად ყვარელში ფუნქციონირებს „საქმიანობათა ცენტრი უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“.
- 59,6 ათასი ლარით მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით მოხდა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება.
- 129,6 ათასი ლარი გადახდილია უმწეო მოსახლეობის ერთჯერადი დახმარებების, ბინის ქირის, სათბობი შეშის, უმწეოთა სარიტიუალო, დიალიზით დაავადებული და იშვითი დაავადბების მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარებებში.
- 254,7 ათასი ლარით დაფინანსებულია უმწეო მოსახლეობის მედიკამენტები;
- 282.6 ათასი ლარით დაფინანსებულია უმწეო მოსახლეობის მკურნალობის ნაწილობრივი ღირებულება;
- 35,4 ათასი ლარი გახარჯულია მრავალშვილიანი დედების საახალწლო, სარვამარტო და სააღდგომო დახმარებებისათვის;
- 54.9 ათასი ლარი გაცემულია ახალშობილთა დახმარებებისათვის;
- 150,6 ათასი ლარით 2021 წელს დაფინანსდა ყვარლის სათნოების სახლი.

2021 წლის სარეზერვო ფონდი დაგეგმილი იყო 50,0 ათასი ლარი, 2021 წლის განმავლობაში გაიზარდა 15,0 ათასი ლარით, 2021 წელში გამოყოფილია 64,2 ათასი ლარი, საიდანაც 59,6 ათასი არის სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობის დახმარება, 4,6 ათასი ლარით შეძენილია გზებზე დასაყრელი ტექნიკური მარილი.

## 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების 9 თვის გეგმა შესრულებულია 80.7 % (გეგმა 18958.1 ათ. ლარი. ფაქტ 15297.4 .ათ. ლარი) აქედან

გადასახადის გეგმა შესრულებულია 96.8 %-თ (გეგმა 10127.0 ათ. ლარი, შესრულება 9805.3 ათ. ლარი), გრანტებიდან მიღებული გვაქვს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის 1/12 ნაწილი. საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის საიდანაც ჩარიცხულია 57.8 ათასი ლარი. მიღებული გვაქვს აგრეთვე კაპიტალური ტრანსფერი რეგფონდის სამუშაოებისათვის 3779.4 ათასი ლარი და საჯარო ფინანსების მართვის ხელშეწყობის მიზნით გამოიყო კაპიტალური გრანტი 200,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, კერძოდ: ბანკის მიერ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან მიღებული გვაქვს 243.9(72.0) ათასი ლარი , ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი შემოვიდა 94.2 ათასი ლარი , 9 თვეში მიწის იჯარიდან შემოვიდა 15,6 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 79.8 ათასი ლარი, შემოსავლები ჯარიმებიდან და სანქციებიდან მიღებული გვაქვს 216.9 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 29.8 ათასი ლარი , ხელშეკრულების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხები მიღებული გვაქვს 58.9 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული გვაქვს 711.6 ათასი ლარი,

ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები დაფინანსებულია 62.2 % (გეგმა 22327.1 ათ. ლარი, ფაქტი 13895.3 ათ. ლარი) აქედან:

- შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია - 1748.7 ათასი ლარი
- საქონელი და მომსახურება - 1364.4 ათასი ლარი;
- სუბსიდია - 5177.2 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 646.5 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 656.3 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 4167.8 ათასი ლარი.
- გრანტები -76.2 ათასი ლარი;
- პროცენტი -19,9 ათასი ლარი
- ვალდებულებების კლება - 38,2 ათასი ლარი

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები დაფინანსებულია 82,2 ით (გეგმა 2979.5 ათასი ლარი, ფაქტი 2456.7 ათასი ლარი).

ინფრასტრუქტურის განვითრების თავი დაფინანსებულია 47.7 % ით (გეგმა 11864.3 ათ. ლარი და ფაქტი 5667.9 ათ. ლარი)

აქედან: სუბსიდიები სულ- 95 % (461.5 ათ.ლარი),

ქ. ყვარელში დაიწყო სანიაღვრე არხების მოწყობა, 9 თვის მდგომარეობით შესრულებულია 249.1 ათასი ლარის სამუშაოები.

9 თვეში მუნიციპალიტეტში შესრულდა 1606.3 ათასი ლარის გზების მოწყობის სამუშაოები, მათ შორისაა ალმატის სასაფლაოსთან მისასვლელი 2 გზის მოასფალტება, წ/სერში სკოლასთან მისასვლელი გზის მაოსფალტება, კუჭატნის შიდა გზის მოასფალტება, ახალსოფელში“ მთიულების“ უბნის, შილდაში ამბულატორიიდან ელიზბარაშვილის კუჩის კვეთამდე, საბუეში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზა, სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს.

9 თვეში მუნიციპალიტეტის ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, ექსპლუატაციაში გაიხარჯა 166,9 ათ. ლარი,საიდანაც 79,9 ათასი ლარით შეძენილია საწვავი, ხოლო 79,2 ათასი ლარი გახარჯულია ბალღოჯიაანის მდ. შოროხევის კალაპოტის, ყვარელში ბურსისა და დურუჯის კალაპოტების, სოფ. ენისელში მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოებისათვის ბულდოზერების დასაქირავებლად, მათშორის 5,5 ათსი ლარი გამოყოფილია სარეზერვო ფონდიდან.

გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - გეგმა 652,0 ათასი ლარი, ფაქტი - 497,9 ათასი ლარი.(ელ. ენერგიის ღირებულება 436,5, სანათების-61,4)

დასრულდა გავაზის მინი სპორტული მოედნის მოწყობა, შესრულებულია 136,5 ათასი ლარის სამუშაო, გაგრძელდა ახალსოფლის სპორტდარბაზის მშენებლობა (706,5), დასრულდა ქ. ყვარელში სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზის იატაკის რეაბილიტაციის სამუშაოები, სარეაბილიტაციო თანხამ შეადგინა 102,6ათასი ლარი.

- შეძენილია 101,5 ათასი ლარის სხვადასხვა სამუშოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

- საბავშვო ბაღების გაერთიანების გეგმა 2221,3 ათასი ლარი, ფაქტი 2009,3 ათასი ლარი (90,5%),

-წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია - გეგმა 38,5 ათასი ლარი, ფაქტი 26,4 ათასი ლარი,

2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს მიეცათ დელეგირება საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოებზე და მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე, 2022 წლის 9 თვეში მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის გაიხარჯა 57,8 ათასი ლარი. გარემონტდა ყვარლის II საჯარო სკოლის სპორტდარბაზი (44,8 ათ. ლარი), გავაზის საჯარო სკოლისათვის შევიძინეთ საჰაერო გამთიშველი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პროგრამა დაფინანსდა 82,9 % ით (გეგმა 1998,9 ათასი ლარი, ფაქტი 1657,3 ათასი ლარი) აქედან:

სპორტული და კულტურის ორგანიზაციების სუბსიდირება მოხდა 94,0% ით (გეგმა 1602,6 ათასი ლარი, ფაქტი 1505,7 ათასი ლარი)

გაზეთი „ყვარელი“ დაფინანსდა 40,5 ათასი ლარით,

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობაში გახარჯულია 17,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები დაფინანსებულია 92,8 % ით, (გეგმა 888,5 ათასი ლარი, ფაქტი 824,5 ათასი ლარი).

გაწეულია ერთჯერადი დახმარება უმწეო მოსახლეობისათვის ,აგრეთვე მედიკამენტებით, მკურნალობის ნაწილობრივი დაფინანსებით, ელექტრო ენერგიის გადასახადით , გაცემულია ახალშობილთა დახმარებები .

უმწეოთა უფასო სასადილო დაფინანსდა 9 თვეში 129,9 ათასი ლარით

2022 წლის 9 თვეში სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 53,4 ათასი ლარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის, უკრაინის დასახმარებლად და მუნიციპალიტეტში გაჩენილი ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის.

1 ოქტომბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის საბანკო და სახაზინო ანგარიშებზე აქვს 5381,4 ათასი ლარი, საიდანაც 1066,9 ათასი ლარი მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთია.

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

**თვითმმართველი ერთეული ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა**

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ყვარლის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდბოდა ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ასვე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

პანდემიასთან დაკავშირებით გაუარესდა როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2023-2026 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ყვარლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს ხელსაყრელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ყვარლის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები**

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **ტურიზმი;**
- **ეკონომიკა.**

| 2023-2026 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პრიორიტეტის კოდი** | **პრიორიტეტის დასახელება** | **2023 წელი** | **2024 წელი** | **2025 წელი** | **2026 წელი** |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება | 4 051,3 | 3 854.4 | 3 854.4 | 3 854.4 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მ.შ. რიცხოვნობა | 140 | 140 | 140 | 140 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურა | 3 736,6 | 1 667.6 | 1 667.6 | 1 667.6 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 106 | 106 | 106 | 106 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1 562,5 | 1 315.6 | 1 315.6 | 1 315.6 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 145 | 145 | 145 | 145 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 04 00 | განათლება | 3 426,0 | 2 733.2 | 2 733.2 | 2 733.2 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 359 | 359 | 359 | 359 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 2 901,1 | 2 056.1 | 2 056.1 | 2 056.1 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 312 | 312 | 312 | 312 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 299,5 | 877.4 | 877.4 | 877.4 |
| | მ.შ. რიცხოვნობა | 27 | 27 | 27 | 27 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | მ.შ. ახალი ინიციატივებ ი | | | | |
| *სულ ჯამი* | | ***17 308,5*** | ***12 504.3*** | ***12 504.3*** | ***12 504.3*** |
| *მ.შ. რიცხოვნობა* | | ***1089*** | ***1089*** | ***1089*** | ***1089*** |
| *მ.შ. ახალი ინიციატივები* | | | | | |

**შენიშვნა**: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

# თავი III. ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

## 3.1 ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

*ათასი ლარი*

| პროგრა მული. კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტ ი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | 10 288,3 | 13 973,9 | **3 736,6** | **3 736,6** | **3 736,6** | **3 736,6** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 3 501,8 | 3 707,4 | 138,2 | 138,2 | 138,2 | 138,2 |

| პროგრა მული. კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 01 01 | გზების მიმდინარე შეკეთება | 3 501,8 | 3 600,5 | 78,2 | 78,2 | 78,2 | 78,2 |
| 02 01 03 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | | 106,9 | 60,0 | 60,0 | 60,0 | 60,0 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 1 193,7 | 1 945,0 | 1 514,1 | 1 514,1 | 1 514,1 | 1 514,1 |
| 02 02 01 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 756,7 | 987,2 | 1 191,4 | 1 191,4 | 1 191,4 | 1 191,4 |
| 02 02 01 01 | ა(ა)იპ ,,ყვარელწყალმომსახურება“ | | | | | | |
| 02 02 01 02 | წყლის სისტემების სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები | 409,0 | 73,7 | | | | |
| 02 02 01 03 | წყალმომსახურება | 347,7 | 304,7 | | | | |
| 02 02 01 04 | ა(ა)იპ ,,ყვარელწყალმომსახურება“ | | 608,8 | 1 191,4 | 1 191,4 | 1 191,4 | 1 191,4 |
| 02 02 03 | სარწყავ -სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია | 223,7 | 652,3 | 72,7 | 72,7 | 72,7 | 72,7 |
| 02 02 04 | ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა | 213,3 | 305,5 | 250,0 | 250,0 | 250,0 | 250,0 |
| 02 03 | გარე განათება | 1 038,9 | 750,7 | 783,5 | 783,5 | 783,5 | 783,5 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 596,0 | 723,7 | 689,4 | 689,4 | 689,4 | 689,4 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელის მოვლა | | | | | | |
| 02 03 01 02 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 538,6 | 652,0 | 600,0 | 600,0 | 600,0 | 600,0 |
| 02 03 01 03 | გარე განათების ქსელის მოვლა | 57,4 | 37,6 | | | | |
| 02 03 01 04 | გარე განათების ქსელის მოვლა | | 34,1 | 89,4 | 89,4 | 89,4 | 89,4 |
| 02 03 02 | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა | 442,9 | 27,0 | | | | |
| 02 04 | მუნიციპაცლური ტრანსპორტის განვითარება | 31,1 | 640,2 | 150,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 |
| 02 04 02 | მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება | 31,1 | 640,2 | 150,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 |
| 02 05 | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია | 3 528,6 | 907,9 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 |
| 02 05 01 | ბინათმშენებლობა | 3 528,6 | 907,9 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 |
| 02 07 | კეთილმოწყობა | 330,1 | 5 131,1 | 670,9 | 670,9 | 670,9 | 670,9 |
| 02 07 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 190,3 | 1 515,5 | 243,6 | 243,6 | 243,6 | 243,6 |
| 02 07 01 01 | სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია | 178.2 | 290.4 | 143,2 | 143,2 | 143,2 | 143,2 |

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 07 01 02 | სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია | 12,1 | 1 225,2 | 100,4 | 100,4 | 100,4 | 100,4 |
| 02 07 04 | დაზიანებული მუნიციპალური ქონების რეაბილიტაცია | 139,8 | 3 615,5 | 427,3 | 427,3 | 427,3 | 427,3 |
| 02 08 | სარიტუალო ღონისძიებები | 135,8 | 165,3 | 219,0 | 219,0 | 219,0 | 219,0 |
| 02 08 01 | სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა | 135,8 | 165,3 | 219,0 | 219,0 | 219,0 | 219,0 |
| 02 08 01 01 | სასაფლაოების მოვლა პატრონობა | | | | | | |
| 02 08 01 03 | სასაფლაოების მოვლა | 135,8 | 94,2 | | | | |
| 02 08 01 04 | სასაფლაოების მოვლა | | 71,1 | 219,0 | 219,0 | 219,0 | 219,0 |
| 02 09 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 379,4 | 407,2 | | | | |
| 02 10 | საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა | 54,8 | 169,1 | 180,0 | 180,0 | 180,0 | 180,0 |
| 02 11 | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა | 94,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ყვარელწყალმომსახურება | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | დაფინანსება 2023-2026 წლებზე ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | **02 02 01 04** | | **1 191,4** | **4 765,6** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ "ყვარელწყალმომსახურება“ | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სასმელი წყლის რებილიტაციას.<br>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ყვარელში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.<br>პროგრამის მიზანია:<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.<br>წყლის სისტემის განვითრების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოტაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. | | | |

| | |
|---|---|
| | ექსპლოტაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი . მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლოტაციის ქვეპროგრამა. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც იფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიატაც), ასევე, მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოტაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. |
| მოსალოდნელი შედეგი | - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი;<br>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებლი წვდომა;<br>- აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად;<br>- წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. |

| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | მუდვმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა | მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 80% | მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების 100% | 2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები | |
| | 2 | სასმელი წყლის ხარისხი აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს | სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია | სასმელი წყლის ხარისხის ნორმები დაცულია | 0% | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 02 03** | | **72,7** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ყვარელში მარჯანიშვილის პირველი ჩიხის და სააკაძის ქუჩის მეორე შესახვევში სანიაღვრე არხის მოსაწყობად. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებული სანიტარული პირობები, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რებილიტაცია და ექსპლოატაცია | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023-2026 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | **02 02 04** | | **250,0** | **1 000,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | უამინდობის შემთხვევაში ან სხვადასხვა სტიქიური მოვლენის დროს მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მდინარეების დამცავი ჯებირები, სარწყავი და სანიაღვრე არხები საჭიროებენ მუდმივ მოვლა-მოწესრიგებას, მუნიციპალიტეტში არსებული ტრაქტორები კამაცუ, 2 ცალი,, jsb'', გრეიდერი და სატვირთო ავტომანქანა მერსედესი მუდმივ მზადყოფნაში არიან პრობლემების მოსაგვარებლად, თავად ტექნიკაც საჭიროებს მოვლას, რემონტს. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ტექნიკის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებას და შესაბამისად ნაპირსამაგრი ნაგებობების და სანიაღვრე არხების უსაფრთხო მდგომარეობაში ყოფნას. |
| მოსალოდნელი შედეგი | მოვლილი ნაპირსამაგრი ნაგებობები, გასუფთავებული სანიაღვრე არხები, უსაფრთხოდ მყოფი მოსახლეობა |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის მოვლა | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023-2026 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|
| | **02 03 01 04** | | **89,4** | **356,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ,,ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.<br>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;<br>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;<br>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%. | | | |

| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | გარე განათების წერტების რაოდენობა | 6600 ცალი | 6700 ცალი | 2-3% | - სანათი წერლიტების რაოდენობის ზრდა განხორციელდება მოკლე მანძილებზემოსახლეობის მოთხოვნითმიხედვით |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | შეკეთებული სანათების რაოდენობა | საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 80 ცალი | 120 ცალი | 10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელა, გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით | შესაკეთებელი სანათების რაოდენობის ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაციას) |
| | 3 | შეკეთებული, გამოცვლილი ბოძების რაოდენობა | საშუალოდ ხდება წლის განმავლობაში 50 ცალი | 70 ცალი | 10% - წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელა, გაანგარიშება გაკეთებულია წინა წლების მაჩვენებლების მიხედვით | შესაკეთებელი ბოძების რაოდენობის ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაციას) |
| | 4 | შეკეთებული სადენების რაოდენობა | 2022 წელში შეიცვალა 3500 გრძივი მეტრი | 2023 წელში შეიცვლება 5000 გრძივი მეტრი | 0% | ქსელი საჭიროებს მეტი სადენის შეცვლას. 5000 გრძივი მეტრი შეიცვლება არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასაფლაოების მოვლა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 08 01 04 | | 219,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 19 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ქ. ყვარლის, სოფ. მთისძირის , ბალღოჯიანის, ახალსოფლის, თივის, ზინობიანის, ჭიკაანის, გავაზის, კუჭატანის, სანავარდოს , წ/სერის, შილდის, ენისელის, გრემის, ალმატის, საბუის და შაქრიანის სასაფლაოები. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 78 ჰა.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ,,ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის" შესაბამისი სერვისი უზრუნველყოფს:<br>- სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთებას და შეღობვას;<br>- სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან;<br>- სასაფლაოების გაცელვითი და შეწამვლითი სამუშაოების შესრულებას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები; რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოების ტერიტორიები. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო (ხარჯთაღრიცხვების) და აზომვითი სამუშაოების შედგენა | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 10 | | 180,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.<br>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. |
| მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს) |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის პროექტი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთვება და გარემოს დაცვა | 1 299,7 | 1 731,6 | 1 562,5 | 1 562,5 | 1 562,5 | 1 562,5 |
| 03 01 | დასუფთვება და ნარჩენების გატანა | 1 080,2 | 1 531,7 | 1 237,1 | 1 237,1 | 1 237,1 | 1 237,1 |
| 03 01 01 | ნარჩენების გატანა და დასუფთავება | | | | | | |
